

# ...ან თბილისში

რომის ცნობილია, დღეების თანხს წლებად გათვალისწინებულია საბჭოთა ჩოგბურთელები იწყებენ იტალიელებთან შეხვედრით. მეტოქე ძალიან ძლიერია. 4 წლის წინათ ჩვენებმა — ამ უდიდესი შეჯიბრების დებიუტანტებმა — პირველივე შეხვედრაში სწორედ იტალიელებთან იწვინეს წაგების სიმწარე — 0:5. მაგრამ დრონი იცვლება.


ვალერიოს მიაჩნია, რომ წყვილთა თამაშს უტყვევლად მოიგებენ საბჭოთა ჩოგბურთელები, ხოლო ერთეულთა ორ დანარჩენ შეხვედრაში მხარეთა შანსები დაახლოებით თანაბარია. — საერთოდ, ვეთანხმები ვალერიოს მის პრაგმატიზმში, — თქვა სსრკავშირის ჩოგბურთის ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა ვ. კოლეგორსკიმ, — მაგრამ

დადის ხმები, რომ პიეტრანჯელი პროფესიონალებში გადასვლას აპირებს. ეს თუ ასე მოხდა, იტალიელთა შანსები, რა თქმა უნდა, მცირდება. სსრკავშირისა და იტალიის ჩოგბურთელთა შეხვედრა ჩვენს ქვეყანაში გაიმართება — სოჭში ან თბილისში. მატჩის თარიღი ჭრეტერობით დაუდგინელია, მაგრამ ცნობილია, რომ იგი უნდა მოეწყოს 1 მაისამდე.

გროზნო საბჭოთა მრეწველი ტანვარჯიშის განვითარების ერთ-ერთი საიმედო კერაა. აქ ამ სახეობის ბევრი სექცია მოქმედებს, ტანვარჯიშით ასპარეზობანი კი სპორტის მწვერულს, სწრაფლანსტა და მსურველებს ცენტრირებული პარტბოლში. ყოველივე ეს კი ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის სულ მცირე ხნის წინ ახალბედა სპორტსმენთაგან სამამულო მხატვრული ტანვარჯიშის ლიდერების აღსაზრდელად.

სურათზე თქვენ ხედავთ ლიდერთა ჯგუფის სწორედ ასეთ წარმომადგენელს — გროზნოს „ბურვესტნიკის“ ტანვარჯიშე ნ. თვჩინიკოვს. იგი ასრულებს ვარჯიშს უსაგნოდ.

ფოტო ვ. ტუტოვისა.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საპარტიველოს სსრ საორბულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საპარტიველოს რეპრეზენტაციის საბჭოს ორგანო


## ЛЕЛО

Organ Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ბაზ. რედაქცია 22-ი ფელი.

№ 15 (2992) შაბათი, 22 იანვარი, 1966 წ. ფასი 8 კაპ.

## უხუცესი „ფიზკულტურელი“ 70 წლისაა



ლენინგრადი, 20 იანვარი. ჩვენი ქვეყნის უხუცესი ფიზკულტურული უმაღლესი სასწავლებელი — პ. ლესგაფტის სახელობის ლენინგრადის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი 70 წელი შეესრულდა. 1896 წლის 19 იანვარს პეტერბურგში გაიხსნა უმაღლესი კურსები ფიზიკურ აღზრდაში, 1918 წელს ეს კურსები ინსტიტუტად გადაკეთდა. თავისი არსებობის მანძილზე იუბილარმა 20 ათასზე მეტი მასწავლებელი და მწვრთნელი მოამზადა. მის აღზრდილებს გაუღმკობებიათ ყველა მასშტაბის რეკორდები, სტადიონებზე მოუხვეჭიათ ყველაზე მაღალი ტიტულები — მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთა სახელები. საქმარისია ამ უმაღლესი სასწავლებლის აღზრდილ სპორტსმენთაგან დაეასახელოთ მკლესნიები ლ. ანონინა, ნ. სმირნიკოვა, გ. პოპოვა, ე. ოზონინა და ე. კუზნეცოვი, ძალოსნები თ. ბოგდანოვსკი და ი. დუგანოვი, მოთხილამურეები ლ. კოზირევა და ე. კუზინი, მოციგურეები თ. რილოვა, ლ. სელიხოვა და ბ. შილკოვი, მოსკოველები კ. ალიოშინა, ე. კიტაევი და ე. სოროკინი.

უხუცესი „ფიზკულტურელი“ დიდ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწევა, ამუშავებს ფიზიკური აღზრდის საკითხებს, აღმაშენის ჯანმრთელობაზე მეცნიერების ახალ დარგებს.


ინსტიტუტის ალაში 2 ორდენი კიაფობს: ერთი — ბრძოლის წითელი დროშის ორდენი დიდი სამამულო ომის წლებში დამსახურებისთვის და მეორე — ლენინის ორდენი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაში წარმატებებისთვის.



◆ მელბურნი, 21 იანვარი. რ. კლარკის პირველ სტარტს 10-კილომეტრიან დისტანციაზე რეკორდი არ მოპოვოდა, მაგრამ ავსტრალიელი მორბენლის შედეგი მაღალია — 28.41.0. ახლა კლარკი ახალ ზელანდიაში აპირებს გამოსვლას. 31 იანვარს იგი 5000 მეტრზე რბენაში აიღებს სტარტს და აპირებს კენიელი კ. კენინის მსოფლიო რეკორდის (18.24.2) მოხსნას. ამ გარბენში მის ერთ-ერთ მეტოქედ იქნება კივეელი ვ. კუდისკი.

◆ პრაღა, 21 იანვარი. მშვიდობის მსოფლიო ევლონობის საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო ამ პოპულარულ საგანაფხულო შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველთა პირველი განაცხადები ინგლისიდან. პოლონეთიდან, ნორვეგიიდან და ჩეხოსლოვაკიიდან. როგორც ცნობილია, მშვიდობის XIX ევლონობის სტარტი წლეულს მიეცემა ჩეხოსლოვაკიაში, შემდეგ კი მისი 2314-კილომეტრიანი ტრასა გაივლის პოლონეთისა და გდრ-ის გზებზე. არის სიასწრაფი: წლეულის ევლონობის პროგრამიდან აპირებენ გუნდური რბოლის ამოღებას; სამაგიეროდ, ინდივიდუალური რბოლა დროზე გაიმართება არა ერთ ეტაპზე, არამედ — ორზე.

◆ მანილა, 21 იანვარი. ფილიპინელმა მსროლელმა ა. ფელიჩიანომ მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრზე წოდელმა სროლაში მოაგროვა 600 ქულა 600-დან! მაგრამ ეს მსოფლიოს აბსოლუტურ რეკორდად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან ფილიპინელმა იგი აჩვენა საწვრთნელ მატჩში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საკავშირო რეკორდი უდრის 599 ქულას და ეკუთვნის შეხანიზავ მოსკოველ მსროლელს ე. ლონსკიას.



თავისუფალი ვარჯიშის ამ საკმაოდ რთულ, ეფექტურ ილითს თბილისელი ქაბუკი ტანვარჯიში ა. გნოლიძე ასრულებს. იგი ამჟამად ოსტატობის კანდიდატის პროგრამას ეუფლება და წარმატებითაც. სწორედ ამ პროგრამით წარმართულ ასპარეზობაში მოიპოვა მან „ბურვესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა ამ საზოგადოების ბავშვთა სპორტსკოლების პირად-გუნდური პირველობის გათამაშებისას. ა. გნოლიძემ მრავალჯერადი 103,35 ქულა დააგროვა და 3,3 ქულით გაუსწრო უახლოეს მეტოქეს, თბილისელსავე ნ. მიქელაძეს.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

## საქველი საქველი

◆ მოსკოვი, 20 იანვარი. აქ დიდი ინტერესი გამოიწვია ადგილობრივ „დინამოს“ სტადიონზე გამართულმა ორდღიანმა ასპარეზობამ ყინულზე მოტობოლი მოსკოვისა და ფინეთის ნაკრებ გუნდებს შორის. მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო: პირველ დღეს მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 76:32, ხოლო საერთო ჯამში — 148:68. პირად შეჯიბრებაში ყველას აჯობა ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა, სსრკავშირის ჩემპიონმა ვ. ნერიტოვმა, რომელმაც 11 ცდის შემდეგ 35 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულს 3 ქულით ჩამორჩა 11 ადგილზე გასული ვ. კუზნეცოვი. სტადიონის რეკორდი დაამყარა ვ. ტერენტიევი — 57,9.

◆ მოსკოვი, 20 იანვარი. ლენინის გორაკების მიდამოებში პირველად გაიმართა მოთხილამურეთა შეჯიბრება გლეჭტრონიტ განათებულ ტრასაზე. უჩვეულო იყო აგრეთვე რბოლის მანძილები: ქილები ასპარეზობდნენ 6 კილომეტრზე, ხოლო ვაეები — 12 კილომეტრზე. ქალთა შორის საუკეთესო იყო ა. ბისტროვა („ლოკომოტივი“) — 23.20,0, ხოლო ვაეებში — ვ. ვედენინი („დინამო“) — 40.09,0.

◆ რევიკაივიკი, 20 იანვარი. აქ მიმდინარე საერთაშორისო საქადრაკო ტურნირზე გაიმართა 5 ტური. ლიდერობს ისლანდიელი დიდოსტატი ფ. ოლაფსონი — 4 ქულა. საბჭოთა დიდოსტატი გ. ვასილუკის 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

## ცხა ღამარცხა!

სოფია, 21 იანვარი. მოსკოვის ცხა-ს კალათბურთელმა ვაეებმა წააგეს განმეორებითი მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თანხს გათამაშების მეოთხედფინალში ადგილობრივი „ჩეკოვო-ზნამიასთან“ — 63:78. პირველ მატჩში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 77:64. თამაშის ჯამში უპირატესობა ბულგარელების მხარეზეა — 142:140. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ამ ჯგუფის დანარჩენ მატჩებზე. ცხა უნდა ეთამაშოს საბერძნეთის აეკს და იუგოსლავიის „ზღარას“. ეს უკანასკნელი ერთბაშად შეხვედრენ განმეორებით მატჩში ათენში, სადაც გაიმარჯვება კვლავ ბერძნების მხარეზე იყო — 76:71.

რიბა, 20 იანვარი. მიმდინარე ზაშორის პირველი მძლეობის საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილენი ტალინიდან რიგობა ხტუმარტომოვურულად მიიღეს ათლებები და მათ თავიანთი ახალი უდიდესი სპორტული ბაზის — მანეისი კარი გაუღეს. სტარტებზე გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საფრანგეთის, შვეიციის, ფინეთისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენები.

ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭომ დააწესა პრიზები ქოკით, სიგარტზე (ქალთათვის) და სიმაღლეზე ხტომაში, აგრეთვე 3000 მეტრზე რბენაში გამარჯვებულთათვის.

ამ პრიზთაგან პირველი სკოროცოვმა, რომელმაც აჩვენა წლეულს საუკეთესო შედეგი მსოფლიოს დასურულ დარბაზებში — 216 სმ. II ადგილზე გავიდა ლენინგრადელი ა. ხმარსკი — 213 სმ, ხოლო მესამე — ჩეხოსლოვაკიელი რ. მიხნერი — 207 სმ.

გაუმარჯვებლად არც სტუმრებს დაუტოვებიათ საბოილო. თარჯრბენში 5000 მეტრზე კვლავ ყველაზე მაკრამა სიმალღელეს აჩვენა ფრანგმა მ. დიურიემ — 7,8 წამი

ლო მესამე — ჩეხოსლოვაკიელი რ. მიხნერი — 207 სმ. გაუმარჯვებლად არც სტუმრებს დაუტოვებიათ საბოილო. თარჯრბენში 5000 მეტრზე კვლავ ყველაზე მაკრამა სიმალღელეს აჩვენა ფრანგმა მ. დიურიემ — 7,8 წამი

2.31.0. სიგარტზე ხტომაში ყველას აჯობა ფილმა კ. ლაუკონენმა — 74,1 სმ. 800 მეტრზე რბენაში უძლიერესი აღმოჩნდა მოსკოველი ვ. მუხანოვა (2.20,1), ხოლო 55 მეტრზე თარჯრბენის ფინალში — გორკელი რ. ლარიონოვა — 7,7 წამი. 3000 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა რიგელმა გ. ხლისტოვმა — 8.34,2. წინდელით გამართული ასპარეზობისას განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სსრკავშირის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ქოკით ხტომაში გ. ბლოსნეცოვმა (ხარკოვი). მან საკავშირო რეკორდი დააყარა დასურული შტნობენისთვის — 190 სმ. ბლოსნეცოვის მიღწევის თანავეტორი იყო ლენინგრადელი ი. ფელდი. შეჯიბრების შემდეგი ეტაპი გაიმართება კაუნასში.

## უესანიუნაპი უელაგები

მოიპოვა 19 წლის მასპინძელმა ხელნა რინგამ. მან ყველას აჯობა სიგარტზე ხტომაში — 607 სმ. ისევე როგორც ტალინში, აქაც მწვავე ბრძოლა გაიმართა სიმალღელეს მხტომელთა შორის. გაიმარჯვა მოსკოველმა ვ. ლო მესამე — ჩეხოსლოვაკიელი რ. მიხნერი — 207 სმ. გაუმარჯვებლად არც სტუმრებს დაუტოვებიათ საბოილო. თარჯრბენში 5000 მეტრზე კვლავ ყველაზე მაკრამა სიმალღელეს აჩვენა ფრანგმა მ. დიურიემ — 7,8 წამი



საქართველოში ნამდვილი საფეხბურთო ამინდი დგას. ამით კარგად ხარვეზობენ გურჯაანის „ალანის“ ფეხბურთელები, რომლებიც ღია ცის ქვეშ ვარჯიშობენ და ემსახურებიან მომავალი სეზონისთვის.

სურათზე: გურჯაანის „ალანის“ ფეხბურთელები მოიგე წვრილანზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა. (ჩვენი სპეც. კორ.)



# გაემგზავრებიან სამხრეთ ამერიკაში

ვახუშტის გამომგზავნებელი იყო ცნობა იმაზე, რომ მსოფლიო ჩემპიონატის წინ საწვრთნელ შეხვედრათა ჩასატარებლად სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. გამოქვეყნდა მოთამაშეთა სიაც.

დამატებით ცნობილი გახდა, რომ მცირე ხნის შემდეგ სამხრეთ ამერიკას გაემგზავრებიან თბილისის „დინამოს“ ცენტრალური მცველი მ. შურცილაძე და კიევის „დინამოს“ მეკარე ვ. ბანიკოვი.

# პიზაეზები და პერსპექტივები

რესპეკტივა საფეხბურთო სფეროში წარმოადგენს ანალიზის, შედეგების შეფასების, დასკვნების გამოტანის, თეორიულ პრობლემთა გადაჭრის პერიოდს. დაახ. VI ადგილი ჩემპიონატში, მარცხი სსრ კავშირის თასის ნახევარფინალში — აშკარა ჩაგარდნა თბილისის „დინამოსთვის“. თუ ამას დაეკუთვნებთ დუბლმედადენტობის მიერ დაკავებულ ბოლოწინა, XVI ადგილს, მაშინ მტკიცებულა არასახარბილო სურათს.

რომც დაეკავებინა ჩვენს გუნდს საბრუნო III ადგილი, რის შესაძლებლობაც ფაქტიურად არსებობდა, მაინც მიიჩნეოდა არც დაგვიკმაყოფილებდა არც ჩვენ, არც სპორტულ საზოგადოებრიობას და არც ფეხბურთის მოყვარულებს. გინაიდან ქულათა განხილვებში პირველ თრ პრიზიორთან მიანიჭ ძალიან დიდა.

გუნდი თამაშობდა არათანაბრად, ჩაგარდნებით, არ ჰქონდა სტაბილური სახე. მისი საუკეთესო შედეგები ემთხვევა ჩემპიონატის სტარტსა და ფინალს და შედეგების ასეთი მერყეობა დამახასიათებელია ბევრი გუნდისთვის. მხოლოდ ჩემპიონატის ლიდერებმა — მისკოვის „ტორპედო“ და კიევის „დინამო“ შეძლეს ტურნირის ჩატარება უჩაგარდნოდ.

სადაც არაფერია: როგორც შედეგებით ისე თამაშის შინაარსით ჩვენი გუნდი გაცილებით უფრო უარესად გამოიხატა, ვიდრე 1964 „ოქტოს“ წელს. ამოცანათა უმრავლესობა, რომლებიც

დასახული იყო თბილისის დინამოელთა წინაშე, გაუნადგებელი დარჩა: დაგარდნით ჩემპიონის წოდება, ვერ მოვიპოვეთ თასი, დავაქვეითეთ შედეგიანობა და ყოველივე ამას დამატება ისიც, რომ თბილისის „დინამო“ ყველაზე უფრო უდისციპლინო გუნდი აღმოჩნდა „კლასის I ჯგუფში“. ცალკეულ ფეხბურთელთა მორალურ-ნებელობითი თვისებები აშკარად დაბალ დონეზე იდგა.

ამ მუქ ფონზე სახიზარო მოვლენად ჩანს მხოლოდ ის, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშის საშუალება მიეცა ასალგაზრდა ფეხბურთელთა დიდ ჯგუფს (სართიშვილი, ილიაიძე, ჭელიძე, ხუციშვილი, მისურაძე). დადებით ფაქტორად უნდა აღინიშნოს

## უხეხაუკებით ვ. გლივის ნარილს „პელეგები. პრობლემები...“

ისიც, რომ თბილისის დინამოელში უხვად იყვნენ წარმოდგენილი სხვადასხვა რანგის საკავშირო ნაკრებ გუნდებში: I ნაკრებში გამოდიოდნენ ვ. მტკრეველი, მ. მუსხი, მ. შურცილაძე, გ. სიქინავა და ვ. ბარქაია; თლიმპიურ, ვ. წ. ასალგაზრდა ნაკრებში — გ. რიხვიასვილი, გ. ხართიშვილი, ე. სუკრეშვილი, ვ. ჭელიძე, ნ. მისურაძე, ა. ილიაიძე; ჭაბუკთა ნაკრებში — კ. ასათიანი. „კლასის არც ერთ გუნდს არ ჰყავდა იმდენი მოთამაშე სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში, რამდენიც თბილისის „დინამოს“.

გარდა ამისა, შარშან ჩვენმა კოლექტი-

## ბ. კახალინი.

სსრ კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ვმა შეძლო კიდევ ერთი ამოცანის გადაჭრა: დააგროვა შესაძლებელ ქულათა 50 პროცენტი მეტოქეთა მიმდრეგზე. და თუ ეს გუნდს მუდმივ ჩვევად გადაქცა, ბოლო მოეღება ერთ-ერთ მთავარ, უსამოვნო ტრადიციას.

რამი მდგომარეობს გუნდის წარუმატებლობათა მიზეზები? ზოგიერთი სპეციალისტი და სპორტული მიმოხილველი ცდილობს უკა-

შიდობა დაიყოს ორ კატეგორიად: ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზებად.

ობიექტური მიზეზები. I. თბილისის „დინამო“ 1964 წლის ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა ძირითადად მოსკოვის „ტორპედოსთან“ გამართულ დაძაბულ ბრძოლაში. გასაგებია, რომ ჩემპიონის წინააღმდეგ ყველა გუნდი თამაშობს გაორგავებული ენერგიით — ცდილობს აიძალოს ავტორიტეტი. ეს მუდამ ასე იყო, არის და, ჯერჯერობით, იქნება კიდევ. თვით აუტსაიდერებიც კი მაქსიმალური ძალით გვეთამაშებოდნენ, რათა დაემტკიცებინათ თავიანთი პოტენციური შესაძლებლობანი.

ჩვენი უბედურება მდგომარეობდა

შეგვიდრებს. ამ შესვენებამ განსაკუთრებით ცუდად იმოქმედა მცველებსა და მეკარეებზე, რომლებსაც არ ჰქონდათ სათანადო დატვირთვა სუსტ მეტოქეებთან თამაშში. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ შემდგომ შეხვედრებში ჩაგარდნა ჰქონდათ სწორედ შემოადინებული სახეობის მოთამაშეებს. ძნელია ასეთ ვითარებაში სერიოზულად უსაყვედურო მეკარეებს და მცველებს. მეტი ბრალი მიგვიძღვის ჩვენს მწვრთნელს, რომლებმაც ვერ შევითვალა შესაფერის სპარინგ-პარტნიორების გამოთქენა.

ამ „კურორტის“ შემდეგ 14 დღის მანძილზე (6-20 ივნისი) დინამოელებს შეეძლო 5 მატჩის ჩატარება მოუღდათ პირველობაზე და თასზე, ჩემპიონატის სამ მატჩში შინ ავიღეთ მხოლოდ 1 ქულა, გუნდი დაიბნა, მეტოქეებს კი ფრთები შეესხათ. ყოველივე ამას დამატება ისიც, რომ თბილისელმა ფეხბურთელებმა საერთო მხარდაჭერის ნაცვლად მიიღეს საყვედურები, ტრიბუნებიდან ისმოდა „ანტი-შემახილები“, რასაც კიდევ უფრო მეტი ნერვულობა შექმნიდა მოთამაშეებში.

6 ივლისიდან 5 აგვისტომდე კალენდარი კვლავ გაიწვია, თანაც გუნდს უნებლობა მოუვიდა მწვარეობი, რის გამოც ფეხბურთელები მოკლებული იყვნენ ნორმალურ დასვენებას თამაშის შემდეგ. მის ადგილს იკავებდა... თვითმფრინავით მგზავრობა.

ცხადია, ასეთმა კალენდარმა ვერ შეუწყო ხელი გუნდის ნორმალურ მზადებას და დამატებითი სინტილები შეგვიქმნა.

3. ნაკრების წევრები. თბილისის „დინამოს“ მოთამაშეთა საგრძობი ნაწილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაკავებული იყო ნაკრებ გუნდებში. რა თქმა უნდა, ეს ღირსეული დაფასება დინამოელთა ოსტატობის, და, საერთოდ, ქართული ფეხბურთისა. ასეთი მასშტაბის გაწვევა ნაკრებში საპატიოა არა მარტო კოლექტივისთვის და პირადად მეც ვამაყობ იმით, რომ გუნდში, სადაც ვმუშაობდი, არიან ასეთი შესანიშნავი ოსტატები, რომელთა თამაში აღტაცებას იწვევს უცხოეთის სტადიონებზე. ასევე უნდა უხაროდეს ფეხბურთის ყველა მოყვარულს, რომელიც საპატიოდ სპორტის პატრიოტია, თუნდა ამის საფასურად მისმა საყვარელმა გუნდმა გარკვეული შეფერხება კი განიცადოს.

უშლის თუ არა ხელს კოლექტივს, როცა მისი წამყვანი წევრები ნაკრებში გამოდიან? დაიხ, ეს ასეა. ვილაპარაკო ციფრების გზით: 1965 წლის სეზონში ს. მტკრეველი გუნდში არ იმყოფებოდა 138 დღე, მ. მუსხი — 133, ვ. ბარქაია — 67, კ. ასათიანი — 65, ვ. ბარქაია — 35, მ. ხუციშვილი — 33 და ა. შ. ცხადია, რომ ნაკრების წევრების გარეშე გუნდის თამაში უფრო მრავალფეროვნად შედგებოდა უარესდება.

და მიუხედავად ამისა, ვიმეორებ, ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელების გამოწვევით სსრ კავშირის ნაკრებში გუნდში მხოლოდ და მხოლოდ საამაყოა რუსულბოლისთვის.

იმამი, რომ ჩვენ, როგორც ჩემპიონებმა, ვერ შევძელით გვეპასუხა ამ გართული მოთხოვნებისათვის და აღმოჩნდა უფრო სუსტი, ვიდრე სინამდვილეში ვართ. ეს ძირითადად იქნება მთელ რიგ მოთამაშეთა მორალურ-ნებელობით მომზადებას. ამასთან შეგვარყოფ ცალკეული ამხანაგების ბრალდებას, თითქოს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები გაყოფილნი 1964 წელში მოთხოვნილი გამარჯვებით. პირიქით, შემძლია ვიტყვა, რომ ისინი ძალიან სერიოზულად მიუღწიან 1965 წლის სეზონისთვის მზადებას. თუ გადავხედავთ სამედიცინო შემოწმების ოქტებს 1965 წლის დასაწყისში, თითქმის ყველა ფეხბურთელს ჰქონდა გავრთინობის დონე და მათი საერთო ფიზიკური მდგომარეობა ჯობდა წინა წლისას. ამასვე იმ ფაქტივ მეტყველებს, რომ მოსამზადებელ პერიოდში მოთამაშეთა დიდი უმეტესობა ვარჯიშობდა კეთილსინდისიერად და მეგადინების გაცდენა სდებოდა მხოლოდ ავადმყოფობის გამო. რეგიმის დაცვა ფეხბურთელებს ამ პერიოდში საშუალებას აძლევდა მიეღოთ გაზრდილი საწვრთნელი დატვირთვები.

საქმისადმი ფეხბურთელთა ასეთი დამოკიდებულება ასარბდა გუნდის ხელმძღვანელობას. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამართული შეხვედრები ფეხბურთის მოყვარულებთან მოთამაშეებში აღრმავებდა პასუხისმგებლობისა და საქმისადმი სიყვარულის გრძობას.

2. თამაშების ძალზე მოუხერხებელი კალენდარი, რომელიც ჩვენ გუნდს ჰქონდა, გარკვეულ დღეს ამჩნევდა საწვრთნელ პროცესს, ართულებდა მუშაობას როგორც მწვრთნელების, ისე ფეხბურთელთათვის. მათ უჭირდათ სათანადო სპორტული ფორმის შენარჩუნება. ჩემპიონატის სტარტზე კალენდარი სტაბილური და რიტმული იყო და ჩვენც მის შესაბამისად ვმზადებოდით: 5 ტურის შემდეგ თბილისის „დინამოს“ ლიდერი იყო და აი, უკიდ წარმოიქმნა სანგრძობი შესვენება თამაშის შორის, ხოლო შემდეგ მეტამეტად უხერხოდ დაეგმილი მატჩების თანმიმდევრობა.

აი, მავალით: 9 მაისიდან 6 ივნისამდე მხოლოდ 1 მატჩი სსრ კავშირის თასზე სოსუმის „დინამოსთან“. დაცვა საბრძოლო მომზადების ტონუსი, ამ გეგმობა სერიოზული თამაშები, ამ ეტაპზე კი საწვრთნელი ვარჯიშით ვერ შეინარჩუნებ სტაბილურად დაძაბულობის დონეს, საჭირო სპორტულ ფორმას. რა შედეგება უნდა იმას, რომ ამხანაგური მატჩები „კლასის გუნდებთან ვერ შეედრება ჩემპიონატის კალენდარულ

4. მატჩიანი სპორტული გასართობი

მატჩიანი სპორტული გასართობი მსოფლიო ჩემპიონატში. I გათამაშება მათ დიდი მარცხი იგემეს ფრანგებთან — 1:4, არგენტინელებთან — 3:6 და ჩილიელებთან — 0:3. II ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მექსიკელებმა სამეგრე სძლიეს კუბას — 3:2, 5:0, 4:1, მაგრამ შემდეგ წააგეს აშშ-ის გუნდთან (2:4) და ვერ მოხვდნენ ფინალში. III ჩემპიონატში მონაწილეობაზე მექსიკელებმა საერთოდ განაცხადეს უარი.

1950 წელი. IV ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მექსიკამ ორჯერ დაამარცხა აშშ-ის ნაკრები (6:0, 6:2) და ვაიდა ფინალში, სადაც წაგება იგემა ბრაზილიანთთან (0:4) და შევიცარიანთან (1:2) შეხვედრებში.

V ჩემპიონატის ფინალში გასასვლელად მექსიკელები სერიოზულ წინააღმდეგობას არ წაწვდომიან. მათ სძლიეს აშშ-ისა (3:1, 4:0) და ჰაიტის (8:0, 4:0) გუნდებს, ფინალში კი მარცხიანად გამოვიდნენ: წააგეს ბრაზილიელებთან (0:5) და ფრანგებთან (2:3).

ვაიდა კიდევ 4 წელი. მექსიკელებმა გზიდან ჩამოცილდნენ კოსტა-რიკა (2:0, 1:1) და შევიცარიან გაემგზავრნენ. VI ჩემპიონატის ფინალში მათ კვლავ მარცხი მოუტანა: წააგებინა შევიცარიანთან (0:2) და უნკრეთთან (0:4), ფრე უელსთან — 1:1.

ჩილისელები მიმავალ გზაზე მექსიკელებს დიდი დაბრკოლების გადალახვა მოუხდათ. ჯერ მათ სძლიეს კოსტა-რიკისა (0:1, 4:1) და ჰოლანდიის ანტილის კუნძულების (7:0, 0:0) გუნდებს, შემდეგ კი ფინალში გასასვლელად პარაგვაელებს შეხვდნენ. მატჩები ასე დათავრდა: 1:0, 0:0. ჩილიში მექსიკელებმა საკმაოდ კარგად ითამაშეს: მარათალია, დამარცხდნენ

სუსტს ამ კითხვას, ამოსხნას იგი, მაგრამ ამას ისინი აკეთებენ ზეირღედ, მწკრივობენ გუნდის გამოსვლებით და შედეგების ანალიზით. ამიტომ მათი დასკვნებიც ხშირ შემთხვევაში სახელდახელოა, ადვილი აქვს წინააღმდეგობებს. მათი დასკვნები გუნდზე და მის თამაშზე გაკეთებულია ტრიბუნებიდან, თუ შეიძლება ასე ითქვას, შორიდან. შევეცდები ამოვხსნა ეს მიზეზები თვით გუნდის მხრივ. ვმუშაობდი რა თბილისის დინამოელებთან, კარგად ვიცნობ თვითეულ მათგანს და უკეთ შემიძლია ვილაპარაკო იმაზე, რაც სხვებისთვის უჩინარია. ყველა ეს მიზეზი

მსოფლიო ჩემპიონატთან — ბრაზილიელებთან (0:2) და ესპანელებთან (0:1), მაგრამ მოუგეს ჩეხოსლოვაკიელებს — 3:1.

ლონდონის საგზური მექსიკელებმა იოლად მოიპოვეს იამაიკისა (8:0, 7:0) და კოსტა-რიკის (1:0, 0:0) გუნდების დამარცხების შემდეგ.

მექსიკის ნაკრების წევრთის გამოცდილი სპეციალისტი იგნასიო ტრელეს კამპოსი. აი, მის მიერ დასახელებული 38 კანდიდატი:

მეპარტეზი — კარბახალი, კალდერონი და ვარგასი; მცველები — ჩაირესი, რამირესი, გონსალესი, პენა, დელ მურო, პ. ბერნანდესი; ნახევარმცველები — სეპულვედა, ნუნეზი, რომერო, უორგეი, მონტალვო, დელ აგვილა, ა. ბერნანდესი, რეგვიარო; თავდასხმელები — რუვალცარა, მუნგვიია, მენდოსა, მუნორო, ბარბა, ბუსტოსი, რეიესი, ნოსენსი, ფრანკოსი, ვალდერია, ჰუმბერტო, ნავარო, ბოტა, პადილია და ჩავესი.

მწვრთნელმა გამოაცხადა, რომ საწვრთნელი შეკრებების შემდეგ ამ 38 კანდიდატადან დატოვებს 22-ს, რომელთაგან არც ერთი არ მიიღებს მონაწილეობას მექსიკის ჩემპიონატში და თასის გათამაშებაში. ისინი მხოლოდ მექსიკის ნაკრების სპარინგ-მატჩებში გამოვლენ. 1 იანვრიდან მოყოლებული, ნაკრები ინტენსიურად ემზადება. საუკრადლებია, რომ მსოფლიო ჩემპიონატამდე კამპოსმა საჭიროდ ჩათვალა მხოლოდ 2 მატჩის გამართვა უმადლებს ღონეზე: 14 ივნისს მექსიკელები მოსკოვში ხვდებიან სსრ კავშირის ნაკრებს, 29 ივნისს ფლორენციაში — იტალიელებს, რის შემდეგ გაემგზავრებიან ინგლისს.

### „ინგლისის უდიდესი შანსები“

დანი ბლენჩფლავერი — ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი, რომელიც 1963 წლამდე ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან გუნდში — „ტოტენჰემ ჰოტსპურსში“ გამოდიოდა, გაზეთ „სენდი ექსპრესის“ თითქმის ყველაზე უფრო ერთდღივად საფეხბურთო მიმოხილველად და კომენტატორად ითვლება. ერთობ საინტერესოა დენის აზრი მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე ინგლისის ფეხბურთელთა გუნდის შანსების გამო.

„მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატი, — წერს ბლენჩფლავერი, — ინგლისის მიწა-წყალზე გაიმართება. უკვე თავად ეს ფაქტი კარგ შანსს წარმოადგენს ინგლისის გუნდისთვის. 1958 წელს ჩემპიონატის მასპინძელი შეცვლია იყო და მან II ადგილი დაიკავა. 1962 წელს პირველობის ორგანიზატორი ჩილი იყო და მისმა ფეხბურთელებმა III ადგილი დაიკავეს. ამჟამად კი ფეხბურთისა და ტოტალიზატორში ინგლისელი ექსპერტები ამბობენ: 80 პროცენტით მისი მარჯვენებელია, რომ ინგლისელები გაიმარჯვებენ. ვფიქრობ, თუ 80 პროცენტით არა, 75 მინც სრულიად ზუსტი მოსაძებნია.

## ყოველი მხრიდან



ნაქრები გუნდებთან; მეორე — ინგლისური ზაფხული ჩვეულებრივ ცივი და წვიმიანია. ეს სერიოზულად დააუსტებს გუნდებს, რომლებიც შეიჩვივნენ ცხელ, პაანება ზაფხულს; მესამე — სტუმარი გუნდების ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე, რომლებიც უჩვეულო პირობებში აღმოჩნდებიან (კვება, საცხოვრებელი), თავს ნამდვილად ცუდად იგრძობენ. მე თავად განმიცდია „უცხო კედლების“ ასეთი სიძნელეები და კარგად ვიცი, ეს რასაც ნიშნავს... ყველაზე უფრო გაახალგაზრდადებული ინგლისურ გუნდსაც კი, თუ

კი ამისთანას გამოიყვანს ჩვენი მოთმარებელი ალფ რამსი, ჩემი აზრით, გამარჯვების უდიდესი შანსები ექნება“.

### პენსია კალსთვის

სახელგანთავსებული ბრაზილიელი ფორვარდის პელეს პოპულარობა განუზრებლად იზრდება. ამ დღეებში საქმე იქამდეც მივიდა, რომ მისი ქვეყნის პარლამენტში განსახილველად შეიტანეს „პელეს პენსიის თათბარე კანონის პროექტი“. ამ პროექტის თანახმად, პარლამენტმა უნდა მოიწონოს, გაღაწყვეტი-

ლება — პელეს სპეციალური სახელმწიფო პენსია დაენიშნოს, იმ პირობით, რომელიც უნდა იქნება პარლამენტის მარჯვენა მხარის მიერ დადგენილი.

პელემ მონაწილეობა მიიღო კლუბ „ფლანტოსის“ 549 მატჩში, რომლებშიც 695 ბურთი გაიტანა; ერთდღივად ნაკრების საერთაშორისო მატჩებში გამოსვლისას სახელგანთქმული ფორვარდი 53 თამაშში 54 გოლის ავტორი იყო.

ამჟამად კანონპროექტი პელესთვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნის თაობაზე დღის წესრიგში დგას. „და ევეიც არ უნდა ვიქნეთ, რომ იგი დამტკიცდება კიდევაც, — წერს პრესა. — რომელი პოლიტიკოსი გაბედვს პელეს წინააღმდეგ ხმის მიცემას, თუ კი იგი თავის პოპულარობას უფრობილდება?“

### მოყვარული — „სელტიკში“

ცნობილია, რომ ბოლო წლებში დანიელი ფეხბურთელები შოტლანდიას მიაწყდნენ და I ლიგას კლუბებში მათგან საკმაოდ ბევრი თამაშობს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „სელტიკმა“ მოლაპარაკება გააბა „არბუსის“ 22 წლის მკვარე მარტინთან, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა „სელტიკის“ მწვრთნელ სტივანზე მკვარე მარტინი ბანის მოსამსახურეა და არ სურს გახდეს პროფესიონალი ფეხბურთელი, თუმცა შოტლანდიაში გადასვლის წინააღმდეგ არ არის.

შოტლანდიელებმა მონახეს გამოსავალი: მარტინი გლავს ერთ-ერთ ბანში იმსახურებს და თან „სელტიკში“ ითამაშებს.

### გარინა ბაიყილა

როგორც გაზეთ „ჩეკოსლოვენსკი სპორტის“ კორესპონდენტი რიო-დე-ჟანეიროდან იუწყება, „ბოტაფოგომ“ გარინა 200 მილიონ კრუზეროდ დაუთმო სან-პაულუს „კორინტიანს“.

განთქმული ბრაზილიელი თავდასხმელი უნდა კარგა ხანია ფორმაში არაა და „ბოტაფოგომში“ კი უმეტეს შემთხვევაში სათადარიგო მოთამაშეთა საქმე იქნება. ისევე როგორც ნაკრებში, მას აქვს უარყოფითი ცვლილება.

## უხეხურთს მსაჯობს... ქალი

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოდის ურნალი ქალთათვის „ფიურ დიში“. მან თავის მკითხველებს ამას წინათ მოუთხრო ქალზე, რომელიც მსაჯობს... ფეხბურთს (იხ. სურათი).

ბერლინელი მარიტა რალფი წარმოადგენს ერთადერთ ქალს რესპუბლიკაში, რომელიც ფეხბურთის არბიტრის როლში გამოდის. ჯერ კიდევ 1962 წელს მან წარმატებით ჩააბარა გამოცდა და მას შემდეგ გატაცებით სჯის იუნორ ფეხბურთელთა მატჩებს.

ურნალის კორესპონდენტმა მარიტა რალფს შეკითხვით მიმართა, თუ როგორ მოუვიდა ქალს აზრად ხელი მოეცა ესოდენ უჩვეულო საქმისთვის? აი, მისი პასუხი:

„ჩვენს ოჯახს შეიძლება თავისუფლად უწოდოთ საფეხბურთო. მამა და ძმა ფეხბურთელები იყვნენ. სწორედ მის მეგობარმა — საფეხბურთო მსაჯმა გამომიწვია ინტერესი ტყავის ბურთისადმი. კარგა ხანს ვყოფიანიობდი — მოსახერხებელი იყო თუ არა ეს საქმე ქალისთვის, მაგრამ შემდეგ მივიღე მტკიცე გადაწყვეტილება და სწორად მიმართა იგი. ქალებს სრული შესაძლებ-



ლობა და უფლება აქვთ მსაჯობაში ამ საკითხშიც სწორედ უფლებიანობას მიაღწიონ“.

მ. რალფმა დაუმატა, რომ მას მხოლოდ ერთხელ მოუხდა ფეხბურთელის გაყვება მინდვრიდან მსაჯის შეურაცხყოფისთვის. სხვა შემთხვე-

ვებში მოთამაშეები მინდვრეზე იქცევიან უაღრესად კორექტულად და ზრდილობიანად.

კარგი და ობიექტური მსაჯობისთვის მარიტა ხშირად ღებულობს სუვენირებს საფეხბურთო კლუბებისგან.

მ. რალფი ოცნებობს

იმსახოს თავისი ქვეყნის უმაღლესი საფეხბურთო ლიგის ჩემპიონატის მატჩები. ამიტომ იგი ყოველ კვირას ესწრება სპეციალურ სამსაჯო კურსებს, ხალაც იმალდება და სრულყოფს საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ ჩვევებს. (ას-ი).

### მისტერ კოქსის უცნაური ანდერძი

დღიდან ადამიანები ხშირად უცნაურები არიან. არა მარტო სიცოცხლეში, არამედ... სიკვდილის შემდეგაც! სულ ახლახან საინტერესო ამბავი მოხდა ინგლისში, სადაც გარდაიცვალა მილიონერი ედვინ კოქსი, პროფესიული ვეჟილი. ფეხბურთის წრეებთან იგი დაკავშირებული იყო, როგორც კლუბ „ბირმინგემ სიტის“ დირექტორი.

კოქსმა დასტოვა ანდერძი, რომელმაც ყველა გააოცა. მან მთელი თავი-

## ზხუხუ შორის

სი ქონება კლუბს უანდერძა, მაგრამ ერთი პირობით: თვითული მოთამაშე 1000 გირანქა სტრლინგით დაიხლოვდება, თუ კი „ბირმინგემ სიტი“ მომდევნო 20 წლის მანძილზე ინგლისის ჩემპიონი გახდება ან თასს მოიპოვებს.

გაგახსენებთ, რომ ახლა „ბირმინგემ სიტი“ ინგლისის ჩემპიონატის II ლიგაში თამაშობს.

### სტარტი ალგულია

გვერდების სპორტის ფესტივალზე დაწყებული ოსტატ ვაჟთა ტურნირი. ასპარეზობაში ჩაება 12 მოჭადრაკე უფროსიდან, იუგოსლავიიდან, ავსტრიიდან, პოლანდიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ტურნირში მონაწილეობს მსოფლიოს ჩემპიონი ნ. ვაფრინდაშვილი. სტარტის წინ გამოცხადდა, რომ I ადგილზე გასული გაისად დიპლება მოთავარ ტურნირში.

ჭრეჭრებთან ცნობილია 2 ტურის შედეგები. მართლაც ოსტატმა ქალმა I ტურში წააგო ოსტოიჩთან (იუგოსლავია), ბოლო II ტურში მოუგო ბენს (ავსტრია). წარმატებით აიღო სტარტი გრონიდენის კაბუჟთა ამპაწინანდელ საერთაშორისო ტურნირში. გამარჯვებულმა პოლანდიელმა რევე.

### აი, რა უუხელია მტკიცე ნაბისყოფას!

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, თუ როგორ დახვებოდა ცნობილი იტალიელი მოთხილამურე, ინსბრუკის „თეთრი ოლიმპიადის“ მონაწილე მარჩელო დე დორიგო. ალბათ გახსოვთ: შევითხი ვარჯიშის დროს ტყეში მას გზა აებნა, დიდხანს იხეტიალა, მერე ღამე ღია ცის ქვეშ გაატარა და ფეხები მოეყინა. დე დორიგოს ფეხებზე რამდენიმე თითო მოკვეთეს

და მისთვის სპორტი თითქმის მორჩენილი საქმე იყო — ტრავმა ნაყოფიერი ვარჯიშისა და მტკიცე ნაბისყოფის საშუალებებს არ მისცემდა.

მაგრამ ნურას უკაცრავად! მარჩელომ ფარხმალი როდი დაჰყარა. იგი ბევრ ვარჯიშობდა, მტკიცე ნებისყოფას ავლენდა და აი, შედეგიც: იტალიის პატარა

სააგარაკო ქალაქ პონტელინოს მიღამოებში მან თხილამურებით გაიზინა 10 კმ.

შვედი სპეციალისტის, იტალიელ მოთხილამურეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელის ბ. ნილსონის აზრით, გრონიდენის 1968 წლის „თეთრი ოლიმპიადისთვის“ მარჩელო დე დორიგო ჩინებულ ფორმაში იქნება.

### მ. გოიჩელი უმეხნებს ოქროს მედალს

35 წ. აქ დამთავრდა სამთო-მოთხილამურე ქალთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ 11 ქვეყნის სპორტსმენები. ეს ასპარეზობა მსოფლიოს პირველობის წინ ძალთა გენერალურ შემოწმებას წარმოადგენდა.

პროგრამის უკანასკნელი სახეობა იყო სწრაფდარბევა (ტრასის სიგრძე 2350 მ., 33 კარი, სიმაღლეთა სხვაობა 600 მ.).

შეჯიბრებაში I-IV ადგილები დასაყუთრეს მასპინძლებმა: კ. პასმა — 2.07,9, ე. იმბერმანმა — 2.09,1, ე. შონიერმა — 2.10,9 და

ტ. პოპერმა — 2.11,01. ოლიმპიური ჩემპიონი მ. გოიჩელი (საფრანგეთი) ფინიშთან მხოლოდ VI იყო — 2.11,8 (მას აჯობა შვეიცარიელმა ტ. ობრეტამაც — 2.11,04), მიუხედავად ამისა, გოიჩელმა ყველას მოუგო სამთო სამკიდის ჯამში.

### „სპარტა“ — გღრ მ: 2

მხიომ, 21 იანვარი. „ტორნეო სექსტაგონალის“ მატჩი პრადის „სპარტას“ და გღრ-ის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდს შორის დამთავრდა ჩემპიონთა გამარჯვებით — 3:2. ტურნირის ლიდერებად გვევლინებიან „სპარტა“ და „ატლასი“ (მექსიკა), რომელთაც 5-5 ქულა აქვთ 6-დან.



გარშავა. სახელგანთქმულ სამთო აგარაკ ზაკოპანში თავი მოიყარა პოლონეთის თორმეტმა უძლიერესმა ველოსიპედისტმა. მშვიდობის მსოფლიო ველოტროლიაში კარგად გამოსვლის მიზნით ისინი აქ ივარჯიშებენ... თხილამურებით. სპორტსმენებში დიდი გამოღობის გამოსამუშავებლად დაგეგმილია სახელმწიფო ვალსელები 150 კილომეტრზე კი. ნაკრები გუნდის მწვრთნელმა გ. ლასაკმა პოლონეთის ბექდვითი სიკვების სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ ახალი სწონისთვის თავისი ალსაზურდებების მომზადებაში მან პირველად შეიტანა სათხილამურო ვალსელები. გამოცდილ, მრავალბრძოლაში გამობრძედილ მრბოლელებთან ერთად ზაკოპანში ძალღონეს იკრებს 20 ახალგაზრდა ველოსიპედისტიც, რომელთა შუქურად დასახელებულია მენიკოს ოლიმპიადი.

35 წ. დამთავრდა ასპარეზობა ოლიმპიურ პირმელობა. ქალთა უმეხნობაში ჩემპიონატი ემაროვი ჩემპიონმა რ. პაიტცამა.

ბრამენი. დამთავრდა პროფესიონალი ველოსიპედისტთა ექვსდღიანი ველოტროლი. გაიმარჯვეს დასავლეთგერმანელმა ბ. ლიტვიმ და ვემპერმა. III-IV ადგილები გაიყვეს პოსტმა (პოლანდია) და პვენიგერმა (შვეიცარია).

### რედაქტორი მ. პაპაბაძე.

### „დინამოს“ სტადიონი

დღეს ფეხბურთი

ამანაგური მატჩი: თბილისის ნაპრავი — „დინამო“ (კიევი). თბილისის ნაკრებში ითამაშებენ: ურუშაძე, გრძელიშვილი, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, შერგელაშვილი, იაშვილი, გ. სერბია, კუტოვაძე, მავანია, ასათიანი, იამანიძე, კოშკელიძე და სხვ. დასაწყისი 16 ს. ბილეთები გაიყიდება „დინამოს“ სტადიონის საღაროებში 11 საათიდან.